		საზოგადოებრივი მეცნიერებები • სასუველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები. **ესთეტიკური აღზრდა** • სასურველი და მნიშვნელოვანია, რომ ორივე საგანში შეფასების რუბრიკებში განსაზრღვრული იყოს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათელი იყოს შეფასების სისტემის კავშირი საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებთან. • სასურველია, რომ ორივე საგანში დეტალურად, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებით, განისაზღვროს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების რუბრიკები და დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. • სასურველია, შემაჯამებელი ტესტები შეიქმნას იმ კონკრეტულ თემაზე და საკითხზე, რომელიც უკვე შეისწავლა მოსწავლემ. • სასურველია, ორივე საგანში, საშუალო საფეხურზე, შეფასების რუბრიკებში განსაზრღვრული იყოს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათელი იყოს შეფასების სისტემის კავშირი საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებთან. **სახელმწიფო ენა** • სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.

		კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებს კათედრა შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნის უფრო მეტ, კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ, შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა** • სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • სასურველია, რომ ფიზიკისა და ქიმიის რესურსები გადანაწილდეს თავიდან, კურიკულუმის გასწორებული თემების მიხედვით.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • კურიკულუმის რესურსების სვეტში გაკეთდეს მცირე მინაწერი მიკროქიმიური მეთოდის გამოყენების შესახებ, რათა დოკუმენტაცია სრულად ასახავდეს სკოლაში არსებულ პრაქტიკას.
ინდიკატორი N 2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	• სასურველი, მასწავლებლებმა შექმნან და გამოიყენონ მრავალფეროვან კონტექსტზე დამყარებული შეფასების რუბრიკები, რაც შესაძლებლობას მისცემთ, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს სხვადასხვა საჭირო და სანდო ინფორმაცია გაითვალისწინონ.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ 2026 წლის 15 აპრილის MES 8 26 0000428975 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული, ზოგიერთი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (შემდგომში - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) . წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვის შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

სტანდარტი N3	*დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი*	*სკოლის არგუმენტირებული პოზიცია*	*ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების თაობაზე*
ინდიკატორი N3.1.2.3.	დასაქმებულთა პირად საქმეში განთავსებული არ არის შემდეგი ცნობები: • ნასამართლობის შესახებ (ზოგიერთი დასაქმებულის შემთხვევაში); • სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; • უფლების ჩამორთმევის შესახებ.	სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად დაწყებულია დასაქმებულთა მიერ შესაბამისი ცნობების წარმოდგენის პროცესი, რომლის დასრულების სავარუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ივნისამდე პერიოდი	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და თვლის, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მითითებულ ვადაში შესაძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა
ინდიკატორი N 3.1.2.4.	სკოლაში დასაქმებული რვა პედაგოგის კვალიფიკაცია არ მოდის შესაბამისობაში, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურებად, რომ პედაგოგთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულია ღია კონკურსები, შესაბამისობის უზრუნველყოფის	ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს, სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიცია და თვლის, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მითითებულ ვადაში

	მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ: • სკოლის ძირითად შენობაში დასაქმებული პედაგოგები: ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ორი მასწავლებელი, ასწავლის დაწებით/საბაზო საფეხურზე) ✓ სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება (ასწავლის დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე) ✓ მუსიკა (ასწავლის დაწყებით/საბაზო საფეხურზე) ✓ ტექნოლოგიები (ასწავლის დაწყებით საფეხურზე) ✓ გეოგრაფია. (ასწავლის საბაზო/საშუალო საფეხურზე) • ე.წ. დაშორებულ სკოლების შენობებში (ფორჩხითი/ელვაური) დასაქმებული პედაგოგები: ✓ დაწყებითი საფეხური/ინგლისური ენა (ორი პედაგოგი ასწავლის I-IV კლასებს).	გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი. ამასთან სკოლას შეფასებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა.	შესაძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა, ამასთან იზიარებს სკოლის პოზიციას იმასთან დაკავშირებითაც რომ მიუხედავად სკოლის ძალისხმევისა ვერ იქნას შერჩეული სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, რადგან სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, რის გამოც დასაქმების მსურველთა დაინტერესება არ არის მაღალი.

ინდიკატორი *N*N 3.4.1.1.	სკოლის ძირითადი შენობის ტერიტორია არ არის სრულად შემოღობილი. ასევე, სკოლის ძირითადი შენობის უკანა ეზოში არ არის განთავსებული ვიდეო-სათვალთვალო კამერები. ე.წ. დაშორებული სკოლის შენობების (ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბნები) ეზოები არ არის შემოღობილი და არ არის დამონტაჟებული ვიდეო-სათვალთვალო კამერები, რაც ზრდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. სკოლას არ აქვს (ოთხივე შენობაზე): ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) - შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ✓ დასკვნა ან/და მიმართვა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტომასალა) დასტურდება, რომ სკოლის ძირითადი შენობის უკანა ეზოში დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერა, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია როგორც ძირითადი ისე ე.წ. დაშორებული სკოლის ეზოების შემოღობვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადაა 2026 წლის 01 სექტემბერი. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის დასკვნის მოპოვების მიზნით სკოლას კომუნიკაცია დაწყებული აქვს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან. ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 01 სექტემბერი.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და თვლის, რომ სწორი ორგანიზების პირობებში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მითითებულ ვადაში შესაძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა.

	✓ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა.		
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა ძირითადი შენობიდან, დაახლოებით, 4 კმ. მანძილის მოშორებით დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები) სწავლებას ახორციელებს სხვადასხვა შენობებში. კერძოდ, ფორჩხითის უბანში და ელვაურის უბანში (მჭედლურის უბანში არსებულ სკოლის შენობაში ვიზიტის პერიოდში მოსწავლე არ ირიცხებოდა). აღნიშნულ სკოლის შენობებში არ არის მოწყობილი პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევისთვის საჭირო სივრცე. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბერის N 01-02/27-03 ბრძანებით). დოკუმენტით დარეგულირებულია სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესი და პროცედურა, ასევე განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, თუმცა იგი არ შეესაბამება არსებულ რეალობას. კერძოდ, დაშორებული სკოლის შენობებში	წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება, რომ სკოლის მიერ შეძენილია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი და განთავსებულია სკოლის ოთხივე ლოკაციაზე. ამასთან სკოლის დირექტორის ბრძანებით ელვაურის და ფორჩხითის უბანში არსებულ სკოლის შენობებში განსაზღვრულია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირები.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და თვლის, რომ სკოლის ექთანთან გაფორებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების სათანადო ზედამხედველობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება, სკოლის ყველა ლოკაციაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

	მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის პროცედურები არ არის დარეგულირებული. აღნიშნული გარემოება ქმნის რისკს, რომ საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება ვერ იქნება დროული და ეფექტური ყველა ზემოაღნიშნულ ლოკაციაზე. სკოლის მიერ აღნიშნული მექანიზმების შემუშავების ვალდებულება დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით. ამასთან აღნიშნული ბრძანების დანართი N2-ის (მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი) თანახმად სკოლებისთვის, სადაც სწავლობს 50 და ნაკლები მოსწავლე, სავალდებულოა მინიმალური მოთხოვნის სამედიცინო პუნქტის მოწყობა.		
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლას ვიდეო-სათვალთვალო სისტემა დამონტაჟებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში, რომელიც ასევე გამოიყენება საკლასო ოთახად. გარდა აღნიშნულისა ვიდეო სამეთვალყურეო	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტომასალა) დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახში მოიხსნა ვიდეო სათვალთვალო კამერა. ასევე	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია, თვლის რომ სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით დასტურდება ხარვეზის აღმოფხვრა,

	კამერების მონიტორინგის ეკრანი განთავსებულია სკოლის დირექტორის სამუშაო ოთახში იმგვარად, რომ მასზე წვდომის შესაძლებლობა აქვს ოთახში შემსვლელ ნებისმიერ პირს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სკოლის მიერ დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ,,ვიდეო მონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან.“ ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საკლასო სივრცეში ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელება.	სკოლამ შეიძინა სპეციალური დახურული კარადა, სადაც დაფარულია კამერების მონიტორები და წვდომა აქვს ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე სპეციალურად დანიშნულ პასუხიმგებელ პირს.	თუმცა სკოლამ უნდა დაასაბუთოს ვიდეო კამარების მეთვალყურეობაზე სპეციალურად დანიშნული პასუხიმგებელი პირის ფუნქციების შესრულება რამდენად საჭიროებს ვიდეო კამერების მონიტორინგზე (რეალურ რეჟიმში) წვდომის საჭიროებას. აღნიშნულ საკითხზე სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა, რომელიც ასახული დასკვნაში.
ინდიკატორი N3.4.1.7.	სკოლას არ აქვს დადგენილი ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მათ შორის, მონაცემთა ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახში მოიხსნა ვიდეო სათვალთვალო კამერა. ასევე სკოლამ შეიძინა სპეციალური დახურული კარადა, სადაც დაფარულია კამერების მონიტორები და წვდომა აქვს ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე სპეციალურად დანიშნულ პასუხიმგებელ პირს.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია, თვლის რომ სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით დასტურდება ხარვეზის აღმოფხვრა.

	აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლის მიერ დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.		
ინდიკატორი N3.5.1.1.	ფორჩიხთის უბანში არსებული სკოლა არის ფიცრული ერთსართულიანი შენობა. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული შენობა (92.2 კვ.მ) და მასზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი (329 კვ.მ) არის სახელმწიფო საკუთრება და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით. ზემოაღნიშნული სკოლის შენობის ინფრასტრუქტურული გარემოს ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურისათვის საჭირო სტანდარტების სრულფასოვან დაკმაყოფილებას, შემდეგ გარემოებათა გამო: ა) შენობის დერეფნის იატაკი, ფანჯრები არის სავალალო მდგომარეობაში, კერძოდ ჩამსხვრეულია მინები, მორყეულია იატაკი, რაც ზრდის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს; ბ) შენობის შიდა სივრცეში მოწყობილი სველი წერტილები არ არის	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებების თაობაზე სკოლას დაწყებული აქვს კომუნიკაცია შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 08 აპრილი.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და დამატებით შესაბამისი უფლებამოსილ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართულობის შემთხვევაში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი იქნება ხარვეზის აღმოფხვრა.

	უზრუნველყოფილი წყლის მიწოდების სისტემით, რის გამოც არ ფუნქციონირებს. გ) შენობა არ მიესადაგება შშმ პირთა საჭიროებებს; დ) შენობაში არ არის მოწყობილი პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევისთვის საჭირო სივრცე; ე) სკოლის ეზო არ არის მოწესრიგებული და შემოღობილი. აღნიშნული გარემოება, რთული რელიეფის პირობებში, უფრო მეტად ზრდის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. ვ) საკლასო ოთახები, დერეფანთან შედარებით, კარგად გამოიყურება. თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები, საერთო ჯამში, არ არის შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ფორჩხითის უბანში არსებულ სკოლის შენობაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, არასათანადო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ რესურსის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი.		

	გამოვლენილი ხარვეზები ქმნის როგორც უსაფრთხოების, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მნიშვნელოვან რისკებს.		
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ძირითადი შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, თუმცა სკოლის შენობის მეორე და მესამე სართული არ იძლევა ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების შესაძლებლობას. ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბნებში არსებულ სკოლის შენობები არ არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე. კერძოდ, აღნიშნულ შენობებში არ არის მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი. (იხ. ინდიკატორის აღწერა).	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას მიწერილი აქვს წერილი აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან ძირითად შენობაში მეორე და მესამე სართულზე შშმ პირთა გადასაადგილებელი ლიფტის ან პლათფორმული ამწის დამონტაჟების, ხოლო ფორჩხითის ელვაურის და მჭედლურის დაწყებით სკოლებში შესასვლელი პანდუსისა და სველი წერტილების მოწესრიგების თაობაზე. შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 08 აპრილი.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და თვლის, რომ შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართულობის შემთხვევაში შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი იქნება ხარვეზის აღმოფხვრა.

სტანდარტი N2	*დასკვნის პრექტში დაფიქსირებული ხარვეზი*	*სკოლის არგუმენტირებული პოზიცია*	*ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების თაობაზე*
ინდიკატორი N2.2.2.4.	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული, საგაკვეთილო საათების შესაბამისი, კვალიფიციური ადამიანური რესურსი.	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პედაგოგთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულია ღია კონკურსები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრული აქვს 2026 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი.	ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში, არსებული რისკების გათვალისწინებით შესაძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზკური უნარ-ჩვევევბი, მისცეს საჭირო ცოდნა, ჩამოუყალიბოს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მას ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები, როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა: ,,თითეული მოსწავლე აღჭურვოს საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალური სწორი ორიენტაციით“.
მნიშვნელოვანია, რომ მისიაში იკვეთებოდეს სკოლის კონტექსტი და სპეციფიკა. ჩანდეს, როგორ შეიძლება მისი პრაქტიკაში განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას მიეცა რჩევა:** მისიის განსაზღვრა დააფუძნოს სწორ გააზრებას, ლოგიკურ განსჯას და თანმიმდევრულობას. მისია სკოლის იდენტობის საკვანძო კომპონენტია. იგი, ღირებულებებთან ერთად, სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, თემს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, უნდა ეუბნებოდეს თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ სკოლის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიისა და ხედვის შინაარსით სკოლა მოიაზრებს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლის მიერ შემუშავებულია არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი. სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით). ასეთმა შიდასასკოლო კულტურამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 01-02/39 ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც შეიმუშავა განაცხადი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 სექტემბრის N 01-02/26-01 ბრძანებით), ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს მკაფიო მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გასაზიარებლად იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო არხებს. გარდა ამისა, უკუკავშირის მიღების მიზნით, ტარდება შეხვედრები სასკოლო საზოგადოების, დირექციის, დამრიგებლებისა და კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, განთავსებულია სკოლის ვებგვერდსა და სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ცნობილია დაინტერესებული ყველა მხარისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033 წწ.
2. სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
3. სტრატეგიული დაგეგვმის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
4. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. იგი განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტი ფარავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს და შეიცავს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა (რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან) არის შვიდწლიანი (2026- 2033 წწ). იგი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. მასში განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმა შეიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლასა და SWOT ანალიზის (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) შესახებ, მაგრამ იგი სრულად არ ასახავს სკოლის რეალურ მდგომარეობას. მაგალითად, არასაკმარისად არის შეფასებული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სტრატეგიული დაგეგმვის დასაწყებად სკოლამ უნდა განსაზღვროს, სად იმყოფება ამჟამად. ამისთვის აუცილებელია არსებული მდგომარეობის ზუსტი შეფასება. საწყისი წერტილის განსაზღვრა გულისხმობს სკოლის მდგომარეობის ანალიზს. სწორად ჩატარებული ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე გამოვლენილი პრობლემები განსაზღვრავს პრიორიტეტულ გამოწვევებს, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიული გეგმის შედგენამდე გაანალიზოს გარემო ფაქტორები და მოახდინოს სკოლის ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების სათანადოდ იდენტიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. **სკოლას მიეცა რჩევა:** მომავალი წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ

სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფდეს სკოლის მისიისა და სტრატეგიული გეგმით დასახული სამიზნე ნიშნულების მიღწევას. აგრეთვე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ეფექტიან დაგეგმარებაზე დამყარებულ სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წლები) მითითებულია გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები და საჭირო რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც შესაძლებელი და რეალისტურია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033 წწ.
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მე-12 მუხლის მიხედვით, სტრატეგიის შესრულება ვლინდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად შესრულდა დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სტრატეგია. მიზნების მონიტორინგს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დირექტორის ბრძანებით იქმნება. სტრატეგიული გეგმის შეფასება იგეგმება ორჯერ - შესრულების შუაში და დასრულებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამიტომ ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ანალიზისა და სასკოლო საზოგადოებასთან საუბრის შედეგად დაგინდა, რომ სკოლა მზად არის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი გახდეს ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი, რაც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამიტომ ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ჯერ არ არის შეფასებული. თუმცა, სკოლის დირექციის თქმით, სამოქმედო გეგმის მოსალოდნელი შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. ეს ინფორმაცია მათ მიეწოდებათ სამუშაო შეხვედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამიტომ ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედეგები ჯერ არ არის შეფასებული. თუმცა სკოლა მზად არის, რომ ეს შედეგები გამოიყენოს თავისი შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა:** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას. მაგ. თუ რომელიმე აქტივობა არ/ვერ შესრულდა, ჩანაწერებში უნდა აისახოს, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლამ უნდა გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების აღწერის შესახებ დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საგნის მასწავლებლები (25 მასწავლებელი). სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: დამლაგებელი (ორი), დარაჯი (ხუთი), ექთანი, ცეცხლფარეში. სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. კერძოდ, სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია შრომითი პოზიციების მიხედვით. თითოეული დასაქმებულის მოვალეობები გამიჯნულია და შეესაბამება საქართველოს

მოქმედ კანონმდებლობას (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ კანონები და სხვა), რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქცია-მოვალეობების აღწერის შესახებ დოკუმენტი
2. საშტატო განრიგი
3. შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:

ა) სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;

ბ) დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;

გ) დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსის სწორი მართვა გულისხმობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითეულ თანამშრომელს შეუძლია საკუთარი თავის რეალიზება, დაწესებულების მიზნების მიღწევის პარალელურად. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ეფუძნება სკოლის სტრატეგიას და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და განსაზღვრავს ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N 01-02/27-04 ბრძანება).
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად დაწყებულია დასაქმებულთა მიერ, ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის პროცესი, აღნიშნული პროცესის დასრულების სავარუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ივნისამდე პერიოდი.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დასაქმებულთა პირად საქმეში, ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობებისგანთავსება.
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N 01-02/27-04 ბრძანება). სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პეროსნალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დასტურდება, რომ იმ საგაკვეთილო საათებზე, სადაც სკოლას არ ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, გამოცხადებულია ღია კონკურსები, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი. ამასთან სკოლას შეფასებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევა/დასაქმება. **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მართვა ხდება მონაწილეობის პრინციპით - პერსონალი აქტიურადაა ჩართული დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. პედაგოგები და მშობელთა წარმომადგენლები, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, არჩეული არიან სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. ასევე, სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფები (მაგალითად, სტრატეგიული გეგმის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფი), რაც უზრუნველყოფს მონაწილებით მმართველობას.
გასაუბრებითა და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში არსებობს მონაწილებითი მართვის სტილი და შესაბამისი ორგანიზაციული კულტურა. ეს ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში „ჩვენ“ განცდის ჩამოყალიბებას და გუნდური ინიციატივების განვითარებას.

პედაგოგები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მიზნების მიღწევას და ერთმანეთს ავსებენ უნიკალური უნარებითა და გამოცდილებით.
სკოლას გააზრებული აქვს, რომ წარმატებული გუნდური მუშაობა არ არის მხოლოდ უნარების ერთობლიობა - ეს არის კულტურა, რომელიც საჭიროებს მუდმივ ყურადღებას და განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკული მაგალითები არსებობს და მათ სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. პედაგოგები გამოყოფენ „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს და საგნოვრივი კათედრების მიერ განხორციელებულ სასკოლო პროექტებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მსგავსი სახის პროექტები შესაძლებლობას აძლევს მათ გაეცნონ ერთმანეთის გამოცდილებას, დასვან შეკითხვები, მიიღონ პასუხები და მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი
2. შრომითი ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან
3. შრომითი ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან.
4. განხორციელებული პროექტების ფოტომასალა.
5. მასწავლებელთა პირადი საქმეები
6. სკოლის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი.
7. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-19 მუხლი ეხება დასაქმებულთა სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ამ მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მთავარი მიზანია შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რასაც უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს თანამშრომლების განვითარებას, მათ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას, კვალიფიკაციის შეფასებას სამუშაოს მოთხოვნებთან და დასახულ მიზნებთან მიმართებით. ასევე, იკვლევს გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაოს ხარისხზე, და აღნუსხავს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების დამატებით საჭიროებებს.

სკოლის მიერ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად: შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია: (ა) დაგეგმვა; (ბ) თვითშეფასება; (გ) გასაუბრება; (დ) საბოლოო შეფასება, ხოლო პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: (ა) მოქნილობა; (ბ) სწავლის მხარდაჭერა; (გ) შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; (დ) პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; (დ) უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლის მიხედვით, თანამშრომლების პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელება ხდება მრავალფეროვანი მეთოდებით - როგორც სკოლის შიგნით, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით. პროფესიული განვითარება სკოლისთვის არა საბოლოო მიზანი, არამედ არამედ უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს ახალ პერსპექტივებს, ხედვებს, მცდელობებს და რეფლექსიას. ამიტომ, პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას სკოლა შეფასებითი დამოკიდებულების ნაცვლად, აქცენტს აკეთებს სწავლისა და გაგების პროცესსა და თანამშრომლების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერული განვითარებას. პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში. მაგალითად, 2026 წლის მარტში სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მონაწილეობდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარებულ STEAM ბანაკში, რომლის მიზანია საჯარო სკოლებში საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური და შემოქმედებითი მიმართულებების გაძლიერება.
სკოლა პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლაში, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა შეფასებით, დასტურდება სკოლის მზაობა, ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერული ზრდის პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. სკოლის

დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი.
3. სკოლის პერსონალის ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და ადგენს წესებს სკოლის მმართველობის, ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით. დოკუმენტი, ასევე, განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს სკოლის განვითარებას, უზრუნველყოს გამჭვირვალობა და დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარეების მოლოდინი.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფას სკოლაში განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის კანონმდებლობა, ორგანიზაციული კულტურა, სტრატეგიული გეგმა და პრიორიტეტები, სტრუქტურა, რესურსები და დაინტერესებული მხარეები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლამ განსაზღვრა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ამ საკითხებს არეგულირებს ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა, საქმისწარმოების წესები, პერსონალური მონაცემების დაცვის წესები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სხვა შიდა დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები ასახავს, თუ რა ნაბიჯების გადადგმით და რა ეტაპების გავლით ხორციელდება თითოეული პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა შრომის შინაგანაწესი, რომლის 46-ე მუხლი არეგულირებს საჩივრების განხილვის წესს. ასევე წარმოდგენილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და ამ საჩივრების განხილვის პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N01-02/27-04 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი. სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას ასევე გაწერილი აქვს შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

2. სკოლის შინაგანაწესი
3. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციისა და მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს საკუთარ ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. ამავე გზით ხდება უკუკავშირის მიღებაც. სკოლას აქვს ვებგვერდიც (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი). დირექტორის განმარტებით, სკოლაში შემოსული მოქალაქეების კითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. თუ საკითხი მის კომპეტენციას სცდება, იგი, კოლეგის სამსახურეობრივი პოზიციის გათვალისწინებით, ადგენს, ვის უნდა მიმართოს ვიზიტორმა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი).
2. მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირქტორის ბრძანება (N01-02/38-01 13.11.2025 წ)
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. სკოლის ძირითადი შენობის შიდა სივრცე და ეზოს ნაწილი აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სკოლის ძირითადი შენობის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით (ფოტომასალა) დასტურდება, რომ სკოლის ძირითადი შენობის უკანა ეზოში დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერა, ხოლო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ძირითადი სკოლის შენობის უკანა ეზოს და ე.წ. დაშორებული სკოლის შენობების (ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბნები) ეზოების შემოღობვის, ვიდეო-სათვალთვალო კამერების დამონტაჟების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადაა 2026 წლის 01 სექტემბერი.

სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის დასკვნის მოპოვების მიზნით კომუნიკაცია დაწყებული აქვს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 01 სექტემბერი.

სკოლას მიეცა რეკომნედაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს:

ა) სკოლის ძირითადი შენობის უკანა ეზოს და ე.წ. დაშორებული სკოლის შენობების (ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბნები) ეზოების შემოღობვა;

ბ) ე.წ. დაშორებული სკოლის შენობებში (ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბნები) ვიდეო-სათვალთვალო კამერების დამონტაჟება;

გ) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;

დ) მიმართვის ან/და დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

ე) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება/შეთანხმება.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება

ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის ძირითად შენობაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. კერძოდ, მოწყობილია ექთნის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის ექთნის მიერ წარმოებს გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.

სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბერის N 01-02/27-03 ბრძანებით). დოკუმენტით დარეგულირებულია სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესი და პროცედურა, ასევე განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით, დასტურდება, რომ სკოლის მიერ შეძენილია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი და განთავსებულია სკოლის ოთხივე ლოკაციაზე. ამასთან სკოლის დირექტორის ბრძანებით ელვაურის და ფორჩხითის უბანში არსებულ სკოლის შენობებში განსაზღვრულია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი. იგი იძლევა შესაძლებლობას სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. სკოლის შინაგანაწესით (მე-3 მუხლი) დარეგულირებულია როგორ უნდა ხდებოდეს უცხო პირთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე: სასწავლო პროცესის დროს გარეშე პირთა შესვლა სკოლაში ან ტერიტორიაზე დაუშვებელია დირექტორიის წინასწარი შეთანხმების გარეშე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებს და დაინტერესებულ პირებს საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 იანვრის N01-02/04 ბრძანებით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სკოლას აქვს შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილი, მხოლოდ ძირითად სასწვლო შენობაში. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა (გარდა ფორჩხითის სკოლის შენობისა) და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. შუახევის რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 29 მაისის MES 0 25 0001-02/27 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N 01-02/15 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

სკოლას მიეცა რჩევა:

ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე, უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახში მოიხსნა ვიდეო სათვალთვალო კამერა. ასევე სკოლამ შეიძინა სპეციალური დახურული კარადა, სადაც დაფარულია კამერების მონიტორები და წვდომა აქვს ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე სპეციალურად დანიშნულ პასუხიმგებელ პირს.

სკოლას მიეცა რჩევა ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე პასუხიმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანებაში, შეიტანოს ცვლილება და დაასაბუთოს აღნიშნული პირის ფუნქციების შესრულება რამდენად საჭიროებს ვიდეო კამერების მონიტორინგზე (რეალურ რეჟიმში) წვდომის საჭიროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველია გაუქმდეს აღნიშნული უფლებამოსილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 17 სექტემბრის N 01-02/26-03 ბრძანებით). იგი არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, ინახება სპეციალურად გამოყოფილ კარადაში. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახში მოიხსნა ვიდეო სათვალთვალო კამერა. ასევე სკოლამ შეიძინა სპეციალური დახურული კარადა, სადაც დაფარულია კამერების მონიტორები და წვდომა აქვს ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე სპეციალურად დანიშნულ პასუხიმგებელ პირს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **სკოლას მიეცა რჩევა:** მრჩეველთა საბჭოს ფორმატში, სათანადოდ განიხილონ და შეაფასონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
2. შუახევის რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ
3. სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ
4. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
5. სკოლის შინაგანაწესი
6. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
7. სკოლის ექთნის დიპლომი
8. სკოლის ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
9. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურა იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. სკოლის ძირითად შენობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვის, შესვენებაზე კი სრულფასოვანი დასვენების შესაძლებლობას აძლევს. სკოლის ძირითადი შენობა აშენებულია 2017 წელს. შენობაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი. მათ შორის: პირველ სართულზე - 3, მეორე სართულზე - 5, მესამე სართულზე კი 4 საკლასო ოთახი. დაწყებით საფეხურზე შექმნილია კლას-კომპლექტი. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, დირექტორის ოთახი, ექთნის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სამასწავლებლო. სკოლის შენობაში განთავსებულია სააქტო და სპორტული

დარბაზები. სკოლის ეზოში კი - ღია სპორტული მოედანი, სადაც გარდა სპორტის გაკვეთილებისა იმართება სკოლის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიება.

სკოლა დაწყებით საფეხურზე (I-IV კალსები) სწავლებას ახორციელებს სხვადასხვა შენობებში. კერძოდ: ფორჩხითის უბანში (ირიცხება ცხრა მოსწავლე) და ელვაურის უბანში (ირიცხება ხუთი მოსწავლე). მჭედლურის უბანში არსებულ სკოლის შენობაში ვიზიტის პერიოდში მოსწავლე არ ირიცხებოდა. ელვაურის უბანში არსებული სკოლის შენობა არის ახალი გარემონტებული.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ფორჩხითის უბანში ახალი სკოლის შენობის მშენებლობის და აღნიშნულ ლოკაციაზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე სკოლას აქვს კომუნიკაცია შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასთან, შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 08 აპრილი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ფორხჩითის უბანში, სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტულია სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ხელმისაწვდომობა ნიშნავს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას, რათა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა თანაბრად ისარგებლოს ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით.

რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, მნიშვნელოვან მოტივაციას აძლევს მასწავლებლებს, რომ მოსწავლეებთან მეტი დრო დაუთმონ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას.

სკოლის ძირითად შენობაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარითა და წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკის რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01-02/26-07. 20-09-2025) დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. აგრეთვე, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ძირითადი შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში, სწავლის ინკლიზიურ გარემოსთან დაკავშირებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სკოლის ძირითადი შენობის მეორე და მესამე სართული არ იძლევა ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების შესაძლებლობას.

ფორჩხითის, ელვაურის და მჭედლურის უბანში არსებულ სკოლის შენობები არ არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე. კერძოდ, აღნიშნულ შენობებში არ არის მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი.

მიუხედავად იმას, რომ სკოლას ავტორიზაციის პერიოდში არ ჰყავდა შშმ მოსწავლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაიცვას ,,გონივრული მისადაგების“ პრინციპი. ეს გულისხმობს, რომ თითოეულ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საჭირო ცვლილებები ისე, რომ არ წარმოიქმნას გადაჭარბებული სირთულეები და უზრუნველყოფილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი.

სკოლის შენობის ადაპტირება (განსაკუთრებით შშმ პირთათვის) იურიდიული ვალდებულების გარდა არის ეთიკური პასუხისმგებლობა და ხარისხიანი განათლების წინაპირობა, რადგან ადაპტირებული სივრცის გარეშე ინკლუზიური განათლება რეალურად ვერ განხორციელდება.
წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას მიწერილი აქვს წერილი აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან ძირითად შენობაში მეორე და მესამე სართულზე შშმ პირთა გადასაადგილებელი ლიფტის ან პლათფორმული ამწის დამონტაჟების, ხოლო ფორჩხითის ელვაურის და მჭედლურის დაწყებით სკოლებში შესასვლელი პანდუსისა და სველი წერტილების მოწესრიგების თაობაზე. შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 08 აპრილი.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის ძირითად შენობაში მეორე და მესამე სართულზე შშმ პირთა გადასაადგილებელი ლიფტის ან პლათფორმული ამწის დამონტაჟება, ხოლო ფორჩხითის ელვაურის და მჭედლურის დაწყებით სკოლებში შესასვლელი პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. კერძოდშ: სკოლის ძირითადი შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სააქტო და სპორტული დარბაზები, ასევე ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯი/ინვენტარი. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ სკოლაში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.
3. ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
4. სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი
5. შესაბამისობის უზრუმველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას აქვს სტანდარტული ლეპტოპები, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები და პროექტორები, რომელებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026

სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის შენობაში WiFi სიგნალი არის სუსტი, რის გამოც სრულყოფილად ვერ ხერხდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული საკითხის გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს. გარდა ამისა, ე.წ დაშორებული (ფორჩხითი, ელვაური, მჭედლური) სკოლის შენობები არ არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი.

სკოლას მიეცა რჩევა: ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მოთხოვნით (როგორც ძირითად, ისე სხვა შენობებში), მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპიუტერული ტექნიკა, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში ხელმისაწვდომი იყოს: საკლასო ოთახებში, ბიბლიოთეკაში, სამუშაო ოთახებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში უზრუნველყოფილია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით, მსურველებს შეუძლიათ გამოიყენონ არსებული ტექნოლოგიები ისე, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს.

სკოლაში გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის. დირექციის განმარტებით, სასწავლო წლის დასაწყისში დგება განრიგი, რომელიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. ეს სივრცეები ღიაა 09:00 საათიდან 16:00 საათამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება უქმე დღეებშიც.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი დარეგულირებულია შიდა რეგულაციით (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-02/27-01 25.09.2025 წ). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლაში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
2. სკოლის ინვენტარიზაციის მასალები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ეს წესი განსაზღვრავს, როგორ არის ორგანიზებული საქმისწარმოება სკოლაში და როგორ მუშავდება დოკუმენტები, განცხადებები და წერილები. იგი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს დოკუმენტების რეგისტრაციის პროცედურებს, მათ ფორმებსა და ტიპებს, ასევე შედგენისა და გაფორმების წესს.
საქმისწარმოების წესი მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასაც. სკოლაში დოკუმენტებთან მუშაობა ხორციელდება როგორც მატერიალური ფორმით, ისე ელექტრონულად, „eflow“ სისტემის გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექციასთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ფეისბუქ გვერდს და ვებგვერდს. ამ ელექტრონულ რესურსებზე რეგულარულად ქვეყნდება და ახლდება საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების

შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, მიღებული უკუკავშირი კი გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, ამ ეტაპზე, არ არის შეფასებული და შესაბამისად გამოქვეყნებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება). სკოლის მიერ წარმოდგენილია 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენასა და დამტკიცებაზე უფლებამოსილ ორგანოებს. კერძოდ, სკოლის ბიუჯეტს, დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭო იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.
სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 დეკემბრის მიმართვის (MES 9250001708164) საფუძველზე, სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 20 დეკემბერს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 03-04/05 20.12.2025 წ).
სკოლაში საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ, ასევე, შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია.

სკოლის შიდა რეგულაციით, მოსწავლეებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

სკოლის სამუშაო პრაქტიკის ანალიზით და საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა მნიშვნელოვანია გაიზარდოს თვითმმართველობის როლი.

მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა სკოლის დემოკრატიული კულტურისა და მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად. მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა, გაზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, განავითარებს ლიდერულ და მოქალაქეობრივ უნარებს, გააძლიერებს სკოლისადმი კუთვნილების განცდას, შეამცირებს დისციპლინურ პრობლემებს (რადგან მოსწავლე ხდება პროცესის ნაწილი).

სკოლას მიეცა რჩევა, სათანადო აქტივობების გამოყენებით (მაგალითად: მოსწავლეებისთვის დავალებების დარიგება და მათი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ არიან ჩართულები პროექტში) უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა. რეალური მონაწილეობა მოსწავლეთა თვითმმართველობას აქტიურობისკენ უბიძგებს

და შეუქმნის განცდას, რომ შეუძლიათ არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ნამდვილი ცვლილების განხორციელება. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, როგორ წარმოადგინონ ინიციატივა, გაავრცელონ ინფორმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება, გაიზიარონ პასუხისმგებლობა, შეადგინონ და განახორციელონ გეგმა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური ფუნქციებით და იყოს ჩართული სასწავლო გარემოს გაუმჯობესების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლამ წარადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი, დირექციის წევრები და კლასის დამრიგებლები რეგულარულად ხვდებიან მშობლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს. ამ შეხვედრებზე მათ უზიარებენ სასკოლო რეგულაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი
3. სადამრიგებლო პროგრამა
4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი. ამ მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;
ბ) მოსწავლეთა მობილობა;
გ) საფეხურის დაძლევა;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე. გარდა აღნიშნული საშუალებებისა, ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება სამუშაო შეხვედრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალე. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას და დაინტერესებულ პირთათვის მიწოდებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი
2. სადამრიგებლო პროგრამა
3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი.
4. სკოლის ვებ-გვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-02/26-11 22.09.2025 წ.), რომლის თანახმადაც - სკოლა დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესის გამოყენება შესაძლებელია იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების, ასევე მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ყველა ახალი მოსწავლისა და

პირველკლასელისათვის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მხარდაჭერას. ამ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებისა და თავისებურებების შესახებ, აცნობს მას საგნის მასწავლებლებს და კლასის წინაშე წარმოაჩენს მის საუკეთესო თვისებებს. სკოლის მიერ დანერგილი პრაქტიკის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ აღნიშნული პროცედურები ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად მონაწილეობს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მისი აკადემიური მიღწევების შესახებ, კონფიდენციალურობის დაცვით. ასევე, მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა ან კონსულტირება კონკრეტული ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს ჰქონდეს ასეთი სერვისების სხვადასხვა გზით მიღების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კერძოდ, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივების მხარდაჭერის გზით ხორციელდება.

სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ინიციატივით განხორციელებულია სასკოლო პროექტი ,,მე ვიცნობ მოსწავლეთა თვითმმართველობას". პროექტის მთავრი იდეა იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება მოსწავლეთა თვითმმარველობის შესახებ. ასევე, სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,გონების ჭიდილი", რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შიდა სასკოლო ინტელექტუალური თამაშები.

სკოლის სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი ,,ვიცხოვროთ ჯანსაღად", რომლის მიზანი იყო ჯანსაღად ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. პროექტის სამიზნე ჯგუფები იყო საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მოსწავლეებში ინტერესისა და მოტივაციის ასამაღლებელი წამახალისებელი აქტივობები.

სკოლის მიერ ,,სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსების" ფარგლებში განხორციელდა აქტივობა ,,ნართანა", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შეისწავლეს საქსოვი ჩხირების საშუალებით ქსოვა. განხორციელებული სასკოლო პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა თაობა გაცნობოდა ხელით ქსოვის ტრადიციას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით განხორციელდა პროექტი: ,,ჩვენი სოფლის ფოლკლორი". პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ ფოლკლორის ისტორიას: როგორ წარმოიშვა, რა გზა გამოიარა ქართულმა ფოლკლორმა, როგორ მოვიდა ის დღემდე. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ჩაატარეს ინტერვიუები სოფლის უხუცესებთან და შეაგროვეს: ხალხური ლექსები, სიმღერები, ანდაზები, გამოცანები, ხუმრობები, თამაშობები, შელოცვები, ტოპონიმები.

სკოლამ, ასევე, განახორციელა სხვა აქტივობებიც, რომლებიც მოიცავს კულტურულ, სპორტულ, შემეცნებით და სოციალურ მიმართულებებს. აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების

გათვალისწინებაზე. ეს ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი პოტენციალი სრულად გამოავლინონ და განავითარონ.

სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი და შინაარსობრივი აქტივობები შეიძლება შეფასდეს როგორც გამორჩეული პრაქტიკა, რომელიც არსებითად უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებასა და სასწავლო პროცესის გამდიდრებას.

სკოლის მიერ არაფორმალური აქტივობების წახალისება თანამედროვე სკოლისთვის ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია. სწორედ აქ ყალიბდება მოსწავლის ის უნარები, რასაც მხოლოდ გაკვეთილი ვერ უზრუნველყოფს.

მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მათი სურვილია უფრო მეტი სასკოლოს პროექტების განხორციელება.

სკოლას მიეცა რჩევა გააძლიეროს არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, როგორც მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი. მიზანშეწონილია აქტივობების სისტემური ორგანიზება, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა და მათი შედეგების აღიარება, რაც ხელს შეუწყობს მოტივაციის ზრდას, სოციალური და ლიდერული უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან და მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი ,,პროფესიული არჩევანი". პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია და გააკეთეს კვლევა ყველაზე მოთხოვნად პროფესიებზე. მოსწავლეების მიერ გაკეთდა განხორციელებული კვლევებისა და მოძიებული ინფორმაციის პრეზენტაცია, მოეწყო დისკუსიები.

სკოლას მიეცა რჩევა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესთავაზოს პროფ კონსულტაცია, რაც უნდა მოიცავდეს საკუთარი უნარების, ინტერესების, ღირებულებების და პიროვნული მახასიათებლების შეფასებას, დაინტერესებულ პირს უნდა მიეწოდებოდეს დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო თუ დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. უმნიშვნელოვანესია კვლევების და ინფორმაციის გაცნობა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და რა მოთხოვნაა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებზე, რაც დაეხმარება მოსწავლეებს განივითარონ შესაბამისი უნარები, მიიღონ ცოდნა და სწორად დაგეგმონ კარიერა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგებისა და მოსწავლეების განმარტებით, სკოლის ორგანიზებით პერიოდულად იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ატარებს მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. გამოკითხვის შედეგებით მიღებული უკუკავშირი სკოლას აძლევს შესაძლებლობას უკეთ დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია - სსსმ მოსწავლეთა განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 01-02/06 ბრძანებით). სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, მაგრამ აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა

2. სსსმ მოსწავლეთა განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის დებულება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის თანახმად: კურიკულუმის განვითარება მიმდინარეობს თანამშრომლობით გარემოში, მის შექმნაში ჩართული არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია. კურიკულუმზე მუშაობის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმირებით - იგი გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას, კონსულტირებას და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. სკოლას აქვს შესაძლებლობა, ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, თავად განსაზღვროს საგნობრივი შინაარსი, მეთოდები, რესურსები და პრიორიტეტები. კურიკულუმი ასახავს როგორც სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, ასევე უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მისი განვითარება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ეფუძნება მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და მიღებულ გამოცდილებას, რაც იძლევა სხვადასხვა მხარის საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას. შესაბამისად, მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმი არ იყოს მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, არამედ რეალურად ასახავდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, ხედვებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და განვითარება მიმდინარეობს მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. პროცესში გათვალისწინებულია მათი მოსაზრებები, საჭიროებები და გამოცდილება, ხოლო კურიკულუმის შინაარსი ასახავს სკოლის პრიორიტეტებსა და შეთანხმებულ ხედვებს. დოკუმენტში აღწერილია კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების პრაქტიკულად გათვალისწინება. კერძოდ: მასწავლებლებს ევალებათ მოსწავლეებთან და მშობლებთან აქტუალური საკითხების განხილვა, რაც პირდაპირ ქმნის მათი ინტერესების სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინების მექანიზმს. სკოლა თავად განსაზღვრავს მშობლების ჩართულობის ფორმებს (მაგ.: კურიკულუმის გაზიარება, ელექტრონული სისტემები და სხვ.). კურიკულუმი ასახავს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, რაც ასევე საზოგადოების ინტერესებთან არის დაკავშირებული. მისი განვითარება ეფუძნება მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს (მოსწავლეთა მიღწევები, პროცესის შეფასება), რაც იძლევა სხვადასხვა მხარის საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი არ არის ერთპიროვნულად შექმნილი დოკუმენტი. მისი შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მონაწილეობით. პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია, ასევე მოსწავლეები და მშობლები. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი, ხოლო მისი განვითარება ეფუძნება კოლექტიურ განხილვას, მონაცემების ანალიზს და შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს. კურიკულუმის განვითარება ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას, რაც ნიშნავს, რომ მისი შემუშავება არის არა ერთჯერადი, არამედ უწყვეტი და გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული პროცესი.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავება მოხდა თანამშრომლობით გარემოში, კათედრის სხდომებზე მსჯელობისა და შეთანხმების საფუძველზე. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ თემების, საკითხებისა და კომპლექსური დავალებების შერჩევაში.

შესაბამისად, კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების საერთო მუშაობის შედეგს და ასახავს მათ ერთობლივ ხედვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის გაზიარება არ გულისხმობს მხოლოდ მის ფორმალურ გავრცელებას. ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის დანერგვა წარმატებულია მაშინ, როცა სასკოლო საზოგადოების წევრები იზიარებენ შინაარსს და მონაწილეობენ მის განვითარებაში. ამავე დოკუმენტის თანახმად, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალედ გაზიარება (მაგალითად: ვებგვერდის, ელექტრონული სისტემების ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით). მასწავლებლებს ევალებათ მოსწავლეებთან და მშობლებთან კურიკულუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის შინაარსის უკეთ გაგებასა და მიღებას. კურიკულუმი ასახავს სკოლის პრიორიტეტებსა და შეთანხმებულ მიდგომებს, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ იგი არის საზოგადოების მიერ მიღებული და გაზიარებული დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, დაწყებითი საფეხურის კათედრასთან კოორდინაციით, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი შემოქედებითი **დავალებებითა** და **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით** წარმართოს. წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტ მაგალითებისა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებით. მაგალითად, **მე-3 და მე-4 კლასებში** ბუნებისმეტყველების კურიკულუმი პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. კომპლექსური დავალებები („მზის სისტემის მაკეტი“ და „მოგზაურობის დღიურები“) აგებულია **კონსტრუქტივისტულ** მიდგომაზე, სადაც მოსწავლე შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით (მაკეტი, დღიური) ახდენს ცოდნის ტრანსფერს. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობას თეორიულ ცოდნასთან (ორიენტირება, კომპასი, გარემოს დაცვა). თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილი კრიტერიუმები არის მესამე თაობის ესგ-ის გზამკვლევში მოცემული მკვიდრი წარმოდგენებით და არა შდეგების მიღწვის ინდიკატორებით. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ თუ მე-3 და მე-4 კლასებში სწავლება დაფუძნებულია კეთებით სწავლებაზე, **მე-5 და მე-6 კლასებში** შემოქმედებითი დავალებები საერთოდ არ არის მითითებული, წყდება სწავლის მეთოდოლოგიური უწყვეტობა. ასვე, **საშუალო საფეხურის (მე-10-12 კლასები) შეუსაბამობა:** ქიმიის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალებების, პროექტებისა და კვლევების არარსებობა ხელს უშლის საშუალო საფეხურზე ქიმიის სწავლების (პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტის გარეშე) სრულფასოვან წარმართვას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ზემოთ აღნიშნული კურიკულუმები არის ფორმალური და არა რეალურ პროცესზე ორიენტირებული. **რჩევა:** • სწავლის უწყვეტობის პრინციპის დასაცავად, მიზანშეწონილია, რომ V-VI კლასების კურიკულუმებში აისახოს შემოქმედებითი დვალებები, კვლევები და პროექტები.

	• სწავლის უწყვეტობის პრინციპის დასაცავად, მიზანშეწონილია, რომ საშუალო საფეხურის (ქიმია X-XII კლასები) კურიკულუმებში აისახოს შემოქმედებითი დავალებები, კვლევები და პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შუალედური მიზნები, წარმოდგენილი თემები, რესურსები და შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, იკვეთება გარკვეული დეტალები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას: სკოლამ ვერ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმი შემდეგი კლასებისთვის: **IV კლასი** („მე და საზოგადოება“). ასევე დოკუმენტურად არ არის დადასტურებული პროექტული სწავლების დაგეგმარებისა და განხორციელების მასალები. შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია მხოლოდ საბაზო საფეხურისთვის, რაც საჭიროებს სრულყოფას დაწყებითი და საშუალო საფეხურებისთვისაც. **რჩევები:** • სასურველია, მოხდეს განხორციელებული პროექტების დოკუმენტირება. • სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიქმნას დაწყებითი და საშუალო საფეხურისთვისაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინგლისურ და რუსულ ენებში შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია უწყვეტი განვითარების პროცესზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დოკუმენტს. კურიკულუმები ყველა საფეხურზე ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეული კლასის კურიკულუმში გათვალისწიებულია გრძელვადიანი მიზნები და მოცემული შუალედური მიზანები მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებელს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებას, არამედ პრაქტიკული უნარების განვითარებასაც.

	რჩევა: სასურველია, კათედრამ ასახოს სამივე საფეხურზე ორივე საგნის კურიკულუმში მომხდარი ცვლილებები და შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო, რათა სწავლების პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ **სამივე საფეხურის** კურიკულუმი წარმოადგინა დამატებითი მოთხოვნილ დოკუმენტების სახით, სადაც დაცულია ყველა კრიტერიუმი და საკითხი რომელიც მოსწავლეთა განვითარებას შეუწყობს ხელს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შემუშავებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე საჭირეობს გაუმჯობესებას და გადახედვას. მაგალითად: **დაწყებითი საფეხურის** 1-4 კლასის ხელოვნების საგნობრივ კურიკულემებში საერთოდ არ ჩანს რომელ შემოქმედებით პროდუქტს ან რა იდეას ახორციელებს მასწავლებელი მოსწავლეებთან. **საბაზო საფეხურის** მე-8 კლასში მხოლოდ ორი თემატური ბლოკი და ორი თემაა გამოტანილი დასამუშავებლად, მაშინ როცა სასწვლო დღეების მიხედვით სამზე მეტი თემა მაინც უნდა დამუშავდეს ისე, რომ არცერთი სავალდებულო თემატური ბლოკი არ დარჩეს დასამუშავებელი. **საშუალო საფეხურზე** ორი კლასის მაგალითზეა კურიკულუმი გადმოგზავნილი მე-10 და მე-11 კლასების სავალდებულო პროექტული სწავლებისთვის როგორც ხელოვნებაში, ისე მუსიკის საგანში. მე-10 კლასში ისე ჩანს, თითქოს ორივე საგანში ხორციელდება პროექტული სწავლება. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შემდეგ, შესაბამის დროში, სკოლამ შეძლო გამოეგზავნა საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლების საგნობრივი კურიკულუმი, რომელშიც უკვე ნათლად არის ასახული ყველა სტრუქტურული ერთეული და დასამუშავებელი პროექტები, თუმცა მუსიკის სავალდებულო პროექტებით სწავლების კურიკულუმში ორზე მეტი სავალდებულო პროექტია წარმოდგენილი. რეალურად, მხოლოდ ორი სავალდებულო პროექტის განხორციელებაა აუცილებელი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით **რჩევა:**

	• **დაწყებითი საფეხურის** I-IV კლასების ხელოვნების საგნის კურიკულუმში შეივსოს შემოქმედებითი პროდუქტი/დავალების პირობა სასურველ ბლოკზე თუ თემაზე, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის და პროცედურული და პირობისეული ცოდნის დასადგენად. • **საბაზო საფეხურის** მე-8 კლასის ხელოვნების საგნის კურიკულუმში ისე შეირჩეს სავალდებულო თემატური ბლოკი და თემები, რომ არ დარჩეს საფეხურის ფარგლებში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები - ე. წ. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები - დასამუშავებელი. • **საშუალო საფეხურის** მე-10 და მე-11 კლასებში ესგ-ს მიხედვით მოხდეს სავალდებულო პროექტების სწავლების პრინციპის გათვალისწინება. • სასურველია, მუსიკის სავალდებულო პროექტით სწავლების საგნობრივ კურიკულუმში მხოლოდ ორი სავალდებულო თემატური ბლოკი იყოს წარმოდგნეილი დასამუშავებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. **რჩევა:** • სასურველია, მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი საგნობრივი პროექტები კათედრამ აქციოს კურიკულუმის ნაწილად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	შემუშავებული კურიკულუმები, **სამივე საფეხურზე,** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. პედაგოგები საუბრობენ, თუ როგორ წარადგენენ დავალებას მოსწავლეების წინაშე და რა ეტაპებს გადიან დავალების განხორციელებისა და წარდგინებისთვის, რაც აშკარად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. **რჩევა:** • სასურველია, რომ თითოეული კლასის კურიკულუმში სრულყოფილად იყოს შევსებული ყველა სვეტი და ყველა თემის ფარგლებში ჩაშენებული იყოს კომპლექსური ბუნების დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები, **სამივე საფეხურზე,** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ფიზიკური, პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები იძლევა სამიზნე ცნებების გააზრების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, ძირითადად, იკვეთება ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე. განსაზღვრულია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, დოკუმენტაციის დეტალური ანალიზისას ვლინდება არსებითი შეუსაბამობები **საშუალო საფეხურის** საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში: **XI-XII კლასის** ფიზიკის კურიკულუმებში დარღვეულია თემატური დაგეგმვა და ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო განაწილება. კერძოდ: თემა „მოლეკულური ფიზიკა და თერმოდინამიკა“, რომელიც XI კლასის სტანდარტის ნაწილია, გადატანილია XII კლასში. ასევე, XI კლასის კურიკულუმში საერთოდ არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემა — „გეომეტრიული ოპტიკა“. ასევე, მე-12 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში არ არის ასახული ესგ-ით განსაზღვრული მეორე სავალდებულო თემა: ვირუსიდან ადამიანამდე.

	XII კლასის ქიმიის კურიკულუმი შევსებულია მეთოდოლოგიური შეცდომით: სამიზნე ცნებებისა და თემების სვეტები არეულია ერთმანეთში (სამიზნე ცნებები მითითებულია თემების ნაცვლად და პირიქით). **რჩევები:** • **ფიზიკის კურიკულუმი:** სასურველია, მოხდეს თემების რევიზია და მათი შესაბამისობაში მოყვანა ესგ საგნობრივ სტანდარტთან, საფეხურების მიხედვით. სავალდებულო თემები (მაგ. „გეომეტრიული ოპტიკა“) სრულად უნდა იქნას ინტეგრირებული შესაბამის კლასში. • **ქიმიის კურიკულუმი:** სასურველია, გასწორდეს მექანიკური ხარვეზი XII კლასის მატრიცაში. მკაფიოდ გაიმიჯნოს **სამიზნე ცნება** (მაგ.: „ნივთიერება“, „ქიმიური რეაქცია“) და **თემა/საკითხი**, რათა დოკუმენტი გახდეს სამუშაო იარაღი მასწავლებლისთვის. • **კათედრის მონიტორინგი:** სასურველია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ, საბაზო და საშუალო საფეხურზე, უზრუნველყოს კურიკულუმების ურთიერთშედარება ესგ-სთან, რათა გამოირიცხოს თემების გამოტოვება ან არასწორი როტაცია კლასებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმები. ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ჩვენი საქართველოს, გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმები ორიენტირებულია შესაბამის საგნობრივ სამიზნე ცნებებზე. ამასთან ერთად, აღნიშნულ საგნებში მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა გამოავლინეს საგნობრივი სტანდარტების ცოდნა და დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევაზე. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია,

	საქართველოს ისტორია, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია, მოქალაქეობა) პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. ამრიგად, სასკოლო კურიკულუმი მეტწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ხოლო დარჩენილი კომპონენტების (IV კლასი - მე და საზოგადოება, X და XII კლასები - სამოქალაქო განათლების პროექტები) ესგ-სთან შესაბამისობა საჭიროებს დოკუმენტურ გამართვას შესაბამისობის გეგმის ფარგლებში. **რჩევები:** გეოგრაფია (VII-XII კლასები) • VII კლასი: მკაფიოდ განიმარტოს შესაბამისობა სამიზნე ცნებებსა და კონკრეტულ სასწავლო საკითხებს შორის. • VIII კლასი: დაკონკრეტდეს რესურსების სვეტი (სახელმძღვანელოს გვერდები, ვიდეომასალის დასახელებები); გადაიხედოს კონტექსტ-მაგალითები (მაგ., საკითხს „კოლუმბი და ვესპუჩი“ „ტორნადოს“ ნაცვლად შეუსაბამდეს თემატური კონტექსტი); ამოღებულ იქნას ზედმეტი ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. • IX კლასი: გასწორდეს თემატური აღრევა (აღმოსავლეთ/დასავლეთ/სამხრეთ საქართველო); შესაბამისობაში მოვიდეს აღმოსავლეთ კავკასიონის კონტექსტ-მაგალითი; ამოღებულ იქნას ზედმეტი ცნებები. • XII კლასის კურიკულუმს დაემატოს მე-2 თემა და შესაბამისი კლასტერები. **ისტორია** • საქართველოს ისტორია: VII კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები გადანაწილდეს კლასტერებზე; VIII-X კლასებში მოხდეს ქვეცნებების სრული შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან და შეივსოს კონტექსტ-მაგალითებისა და რესურსების სვეტები. • ისტორია (X-XII კლასები): X კლასის კურიკულუმში მიეთითოს კონკრეტული და არა ზოგადი ქვეცნებები. XI კლასში გასწორდეს კონტექსტ-მაგალითის სვეტი (საკვანძო

	შეკითხვების ნაცვლად ჩაიწეროს შინაარსი); XII კლასში განივრცოს თემა „საქართველო სსრკ-ის შემადგენლობაში“ და დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების იდეები. **ჩვენი საქართველო** (V-VI კლასები): • უზრუნველყოფილ იქნას ყველა სამიზნე ცნების დაფარვა თემების მიხედვით; მოხდეს ყველა სავალდებულო საკითხის განაწილება შესაბამის ცნებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე** წარმოდგენილ კურიკულუმებში, ინგლისურ და რუსულ ენებში, მოცემული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები, შუალედური მიზნები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული სხვადასხვა ფუნქციურ უნარებზე. როგორიცა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფხურზე** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული ესგ და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში განსაზღვრულია თემატური ბლოკები/თემები/საკითხები. მაგალითად, **დაწყებითი საფეხურის** I-IV კლასის კურიკულუმში არ იყო მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა, ხოლო **საბაზო საფეხურის** მე-8 კლასის კურიკულუმს აკლდა სავალდებულო თემატური ბლოკი და შესაბამისი თემები სასწავლო დღეებისა და საათების შესაბამისად. **რჩევები:** • I-IV კლასის კურიკულუმებში დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა.

	• **საბაზო საფეხურის** მე-8 კლასის კურიკულუმს დაემატოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი და შესაბამისი თემები, სასწავლო დღეებისა და საათების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე,** ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, თუმცა კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ზოგჯერ არ ემთხვევა რეალურად შესრულებულ დავალებებს. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. **რჩევა:** • სასურველია, კურიკულუმები შეივსოს შესრულებული შემოქმედებითი დავალებებით ან მიენიშნოს კურიკულუმების ჩარჩოებში, რატომ გახდა საჭირო დაგეგმილი დავალებების სხვა სახის სამუშაოებით ჩანაცვლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას, ასევე, გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და კურიკულუმების შემუშავებისას იყენებენ საგნობრივ სტანდარტს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმები ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებულ სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ფიზიკურ გაჯანსაღებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მათში ჩანს ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და თემებს, დაგეგმილია შუალედური მიზნები. **რჩევა:** • სკოლამ წარმოადგინოს მე და საზოგადოების მე-4 კლასის კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსების ნაწილი, ძირითადად, დათმობილი აქვს გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას. მაგათილად, **დაწყებით საფეხურზე** (III-IV კლ.) რესურსები (მაკეტის მასალები, დღიურები) მრავალფეროვანია და მორგებულია შემოქმედებითი ტიპის დავალებებს. კურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით და საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების ერთობლივად შერჩევა/განხილვა და სასწავლო პროცესში დანერგავა. რესურსები მწირედ არის წარმოდეგენილი **საშუალო საფეხურის** მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში. **რჩევა:** • **საშალო საფეხურის** მე-11 და მე-12 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში აისახოს მრავალფეროვანი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი, მათ შორის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, მიზნად ისახავს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. ეს რესურსები ისეა შერჩეული და დამტკიცებული, რომ უზრუნველყოფენ მოსწავლის თვითრწმენისა და თავდაჯერების განვითარებას, საინტერესო და დაძლევად აქტივობებში ჩართვას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების პროგრესს, საკუთარი თავის შეფასებას და პასუხისმგებლობის გაზრდას სწავლის მიმართ.
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში, ძირითდად, გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. ასევე, ონლაინ და სხვა მატერიალური

	რესურსებიც (პოსტერები, ფლეშ ქარდები). რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას და ცოდნის სიღრმისეულ ათვისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლას კათედრაზე განხილული და ძირითად საგანმანათლებლო რესურსად არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი - ელექტრონული რესურსები, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე,** სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. თუმცა ცალკე გამოგზავნილ ფაილში ნაჩვენებია, რა დამატებით რესურსებს იყენებს კათედრა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს გამოყენებული ელექტრონული რესურსებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალების შესახებ. სახელმწიფო ენის კათედრა სამუშაო ანგარიშებში აცხადებს, რომ თავად მასწავლებლებიც ქმნიან სასწავლო რესურსებს, ამაზე საუბრობენ მასწავლებლები ინტერვიუშიც, თუმცა არ წარმოუდგენიათ არცერთი რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე, მასწავლებლები იყენებენ მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს. **რჩევა:**

	• სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმში დაემატოს იმ რესურსების ჩამონათვალი, რომლებსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომლებზეც გასაუბრების დროსაც ისაუბრეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლ პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:**

	• სასურველია, რომ საგნობრივი კურიკულუმები გამდიდრდეს დამატებითი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლამ გასული წლის აკადემიური შედეგების ანალიზის საფუძველზე მოახდინა საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, რაც მიუთითებს სწავლების მეთოდების ადაპტირებაზე რეალურ საჭიროებებთან. მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და ინტერესების დასადგენად ჩატარებული სადიაგნოსტიკო წერები ქიმიაში (IX და XI კლასები) წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლების საფუძველს. ეს მექანიზმი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაგეგმოს სწავლის შედეგზე ორიენტირებული ინტერვენციები. მართალია, სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს რეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მაგრამ დაწესებულებაში არსებობს სრული მეთოდოლოგიური და დოკუმენტური მზაობა ინკლუზიური განათლების დასანერგად. სკოლის მიერ წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, პირველადი მართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მკაფიო პროცედურა. აღნიშნული რეგულაციები იძლევა გარანტიას, რომ საჭიროების შემთხვევაში, სკოლა შეძლებს ოპერატიულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ნებისმიერი მოსწავლის სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, რაც მასწავლებლებმა, აგრეთვე, გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნის დროსაც. მასწავლებლები მოსწავლეებს შემოქმედებითი ბუნების დავალებას სთავაზობენ და როგორც გასაუბრებისას გაირკვა, ისინი ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და, საჭიროების შემთვევაში, უმარტივებენ დავალების პირობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს. პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, **სამივე საფეხურზე,** უმეტესად, დასტურდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები საგნობრივ კურიკულუმებში აქტივობებისა და დავალებების პირობების მიხედვით. თუმცა, გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა თვალნათლივ ვერ შეძლეს ამ მიმარლებით სასწავლო აქტივობებზე მსჯელობა. ამასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც დაგვეხმარებოდა უფრო მკაფიო წარმოდგენის შექმნაში თუმცა სკოლის მიერ გადმოგზავნილი იყო დოკუმენტი სსმ მოსწავლის განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ სკოლას შეუძლია სსმ მოსწავლეების მხარდაჭერა შესაბამის დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აცხადებენ, რომ მცირერიცხოვან კლასებში ადვილია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და

	ინტერესს მოარგო გაკვეთილი. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. ამჟამად სკოლაში არ არის არცერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლის განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები, რომლებსაც ისინი სასწავლო პროცესის დროს ახორციელებენ. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი - ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად - რაც, ასევე, ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭირო ხდება პირობის გართულება ან - პირიქით. ასევე, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმით: ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით, მაკეტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს გეგმები, რომელებიც იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამასთან, კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამჟამად სკოლაში არ არის არცერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლის განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (განსაკუთრებით, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის დანართები) ადასტურებს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული განმავითარებელი შეფასების არსი. წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია და შემაჯამებელი დავალებების რუბრიკები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებლებს აქვთ უნარი, განახორციელონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და გასცენ კონსტრუქტივისტული რეკომენდაციები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების რუბრიკები მაღალ დონეზეა შემუშავებული, დოკუმენტაციაში იკვეთება ლოგიკური წყვეტა: შეფასების სისტემა ეყრდნობა შემოქმედებით დავალებებს, თუმცა თავად ეს დავალებები არ არის ასახული შესაბამის კურიკულუმებში. **რჩევა:**

	• ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმები და შემოქმედებითი დავალებები, რომელსაც ეყდნობა შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას და მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეფასების პრინციპები გააზრებულია და პრაქტიკაში ხორციელდება. **რჩევები:** • მე და საზოგადოება: წარმოდგენილ იქნას მე-4 კლასის კურიკულუმი, რომელიც სრულად ასახავს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. • სკოლამ წარმოადგინოს დაწყებითი და საშუალო საფეხურებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები უნდა იყოს ვალიდური და მიმართული კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების სრულყოფილად დაფარვაზე. რუბრიკებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს კავშირი მოსწავლის მიღწევასა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული დავალების პირობასთან მიმართებით. დავალების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. თუმცა. ზოგიერთი შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. წარმოდგენილია, ასევე, სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებიც, როგორიც არის: პრეზენტაციის, თვითშეფასების პროექტის, ჩართულობის და სხვა. **რჩევა:**

	• სასურველია, რომ შეფასების რუბრიკების შექმნისას მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები. შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში, **სამივე საფეხურზე,** ჩამოყალიბებულია მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ანუ კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები, თემებთან მიმართებით ნაკლებად ჩანს, **რჩევა:** • სასურევლია, რომ კათედრამ უფრო დეტალურად გაწეროს შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შესაბამისობაში იქნება სკოლის სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო მიზნებთან და პრინციპებთან. • სასურველია, შეიქმნას არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ თემაზე მორგებული ორივე ფორმის შეფასების რუბრიკები იმ სამიზნე ცნებებით და ქვეცნებებით, რომელებიც დაეხმარება მასწავლებელს უკეთ შეაფასოს მოსწავლის არამარტო დეკლარატიული, არამედ პროცედურული და პირობისეული ცოდნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე,** პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე, განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მტკიცებულებებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა.

	რჩევა: • სასურველია, რომ წარმოდენილი ზოგადი შეფასების რუბრიკები მასწავლებლებმა ზუსტად მოარგონ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე,** სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მასწავლებელს ეხმარება გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **რჩევა:** • სასურველია, რომ მასწავლებლებმა, **სამივე საფეხურისთვის,** სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **რჩევა:** • სასურველია, რომ სკოლამ, **სამივე საფეხურზე,** შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** • სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ბრძანება N/01-02/06 სსსმ მოსწავლის განათლების ორგანიზებისა და მხარდაჭერის შესახებ
- შემოქმედებითი დავალებების პირობები
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

- ჰოლისტური შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ანალიზი
- კათედრების სხდომების ოქმები
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა
- ჩატარებული გაკვეთილის გეგემები და ასწრების უკუკავშირები
- სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების რუბრიკები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება სასკოლო კურიკულუმებზე დაყრდნობით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. პროცესი ხასიათდება შემდეგი დადებითი ასპექტებით: კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას. სკოლა ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების მუდმივ მონიტორინგს. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა. სადიაგნოსტიკო წერების შედეგების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს სწავლების მორგებას მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებზე. მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული გამართული პროცესისა, დაგეგმვის ხარისხზე ცუდად აისახება კურიკულუმებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობები (რომლებიც წინა ინდიკატორებში იქნა იდენტიფიცირებული). სკოლას აქვს დაგეგმვის, მონიტორინგისა და თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა, თუმცა აუცილებელია თავად დაგეგმვის საფუძვლის - კურიკულუმის შინაარსობრივი მოწესრიგება. **რჩევა:** • სასურველია, რომ კათედრამ უზრუნველყოს დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეყრდნობოდეს თემატურად და სტრუქტურულად გამართულ კურიკულუმს, სადაც დაცულია თემების თანმიმდევრობა. • მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებები კურიკულუმში მკაფიოდ იქნას დასაბუთებული კათედრის სხდომის ოქმებში, რათა ნათლად გამოჩნდეს კავშირი „ანალიზსა“ და „ცვლილებას“ შორის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და დამტკიცება სწორედ იმ მიზნით ხდება, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ კურიკულუმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სასწავლო მიზნების მიღწევას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი ორგანიზებული და თანმიმდევრული იყოს. სკოლამ წარმოადგინა პროექტული სწავლებს გეგმის ამსახველი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი იყო თითოეული კლასისთვის ცალკეული, დეტალური პროექტის გეგმები განხორციელების ეტაპებით, სკოლის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომელიც, როგორც მითითებულია, მოიცავს გეგმას მხოლოდ XI კლასისთვის, მაშინ, როცა გეგმები X და XII კლასებისთვისაც იყო წარმოსადგენი. **რჩევა:** • სასურველია, რომ სკოლამ X და XII კლასებისთვის წარმოადგინოს სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლების მასალები: პროექტის გეგმა და განხორციელების ეტაპები, განხორციელების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, პროექტის შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და ამოცანების მიღწევას. ეს გამოიხატება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე პედაგოგების ყოველდღიური პრაქტიკით. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებითაც. კერძოდ: წინარე გამოცდილება, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში. სკოლაში დანერგილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც აქტივობები დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ხელს უწყობს მოსწავლის სრულყოფილ განვითარებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში, უმეტესწილად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს საგნის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების ჭრილში. **რჩევა:** • სასურველია, რომ I-IV კლასების **(დაწყებითი საფეხური)** ხელოვნების კურიკულუმში ჩაიწეროს შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობა იდეა, რაც დაეხმარება მასწავლებელს მრავალფეროვანი აქტივობებით გაამდიდროს სასწავლო პროცესი • სასურველია, რომ **საბაზო და საშუალო საფეხურზე,** არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას შემოქმედებითი კლუბები მუსიკასა და ხელოვნების საგანში, სადაც მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი უნარების განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე,** წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შემოქმედებითი ბუნების დავალების ბარათებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **რჩევა:** • სასურველია, მოსწავლეთათვის გამზადებული კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათებში დავალების პირობა გაიწეროს მარტივად და გასაგებად, რათა დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებასა და მის გამოხატვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე,** სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ

	პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების ფაზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა, საჭიროებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“) მიხედვით, დაწესებულება მოქნილად რეაგირებს არსებულ საჭიროებებზე. იგი სისტემურად აგროვებს და

აანალიზებს მონაცემებს, პროცესში აქტიურად რთავს სასკოლო საზოგადოებას, ხელს უწყობს პედაგოგთა თანამშრომლობასა და ინოვაციების დანერგვას, რეგულარულად განიხილავს კურიკულუმს და საჭიროების შესაბამისად ცვლის სასწავლო მიდგომებს, რესურსებსა და სტრატეგიებს.

სკოლის საქმიანობა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომლებიც აგებულია PDCA ციკლზე (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება/ანალიზი, რეაგირება). მიმდინარეობს სასწავლო პროცესის, კურიკულუმის, მატერიალური და ადამიანური რესურსების, ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის მუდმივი მონიტორინგი. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები სასწავლო პროცესისა და მხარდამჭერი სისტემების გაუმჯობესების მიზნით. სკოლა იყენებს როგორც შიდა (მონიტორინგი, გაკვეთილებზე დაკვირვება, გამოკითხვები), ისე გარე (ეროვნული ცენტრი, ავტორიზაცია) შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დროულ რეაგირებას.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ, ცვლიან საუკეთესო პრაქტიკას და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ერთობლივად გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მაღალმთიან რეგიონში მდებარეობის გამო, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ საჭიროებებზე სრულფასოვანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, პედაგოგების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და ტაქსონომიები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევების დეტალურ აღწერაზე. კურიკულუმის დანართებში არსებული ინსტრუმენტები იძლევა მოსწავლისთვის ხარისხიანი უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას, რაც ზრდის შეფასების პროცესის გამჭვირვალობას მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. მიუხედავად მეთოდოლოგიური გამართულობისა, სისტემის ვალიდურობა და სანდოობა ნაწილობრივ

	დგება კითხვის ნიშნის ქვეშ შემდეგი მიზეზების გამო: შეფასების რუბრიკები ეყრდნობა შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც თავად კურიკულუმებში არ არის ასახული. ეს არღვევს შეფასების ვალიდურობას, რადგან ინსტრუმენტი არსებობს იმ აქტივობის გარეშე, რომლის შესაფასებლადაც არის შექმნილი. პედაგოგების მიერ შემუშავებული რუბრიკები ეფექტურად იყენებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფს შედეგების მიღწევის კონტროლს. სისტემის კიდევ უფრო მეტი სინქრონიზაციისთვის მესამე თაობის ესგ-სთან, მიზანშეწონილია ფორმალური მიმართებების განახლება შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისად. **რჩევა:** • სასურველია, რომ შეფასების თითოეული რუბრიკა პირდაპირ აფასებდეს კურიკულუმში, კერძოდ: V, VI, XI, XII კლასებში გაწერილ კონკრეტულ შემოქმედებით დავალებას. • სასურველია, შეფასების რუბრიკების სტრუქტურა ისე განახლდეს, რომ შეფასება ეფუძნებოდეს სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, რაც სისტემას უფრო სანდოსა და თავსებადს გახდის მესამე თაობის ესგ-სთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**საბაზო საფეხურზე** მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეების საჭიროებებს და მიზნებს. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებლები ქმნიან შეფასების რუბრიკებსაც და გათავისებული აქვთ მათი მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მიემართება საგნის შესაბამის სამიზნე ცნებებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი ასახულია, თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს მოსწავლისგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები დაწყებითი და საშუალო საფეხურის საგნებისათვის. მათი წარმოდგენა აუცილებელია, რათა დადასტურდეს შეფასების ერთიანი მიდგომა სკოლის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში.

	რჩევა: • სასუველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები **დაწყებითი და საშუალო საფეხურის** საგნებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის კრიტერიუმებს. ის დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საშუალებით. აგრეთვე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტებით და შესრულებული შემოქმედებითი დავალების ანალიზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (მაგალითად: შეფასების რუბრიკები და მოსწავლეთა შემაჯამებელი ტესტების ნიმუშები) და გასაუბრებისას მკაფიოდ ვერ გამოიკვეთა თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხორციელდება კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება. სკოლამ ორივე საგანში (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წამოადგინა შეფასების რუბრიკები, თუმცა მკაფიოდ არ იკვეთება საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა. შემაჯამებელი ტესტებში არ ჩანს რომ მასწავლებელი თემის შესაბამისად ქმნის ტესტს და ისე აფასებს მოსწავლეს. შესაბაისად, ნათლად არ ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭირვალობა. გარდა ამისა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკებში უმეტესწილად აქცენტი კეთდება მოსწავლის ზოგად უნარებზე (კლასში ჩართულობა, პრეზენტაციის უნარი და სხვ.) არ ჩანს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნებთან მიმართება (სამიზნე ცნებები/ქვეცნებები). სკოლას პროექტული სწავლების ფარგლებში **(საშუალო საფეხურზე)** არ წარმოუდგენია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისად არ ჩანს კავშირი საფეხურის შედეგებთან. **რჩევები:**

	• სასურველი და მნიშვნელოვანია, რომ ორივე საგანში შეფასების რუბრიკებში განსაზრღვრული იყოს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათელი იყოს შეფასების სისტემის კავშირი საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებთან. • სასურველია, რომ ორივე საგანში დეტალურად, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებით, განისაზღვროს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების რუბრიკები და დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. • სასურველია, შემაჯამებელი ტესტები შეიქმნას იმ კონკრეტულ თემაზე და საკითხზე, რომელიც უკვე შეისწავლა მოსწავლემ. • სასურველია, ორივე საგანში, საშუალო საფეხურზე, შეფასების რუბრიკებში განსაზრღვრული იყოს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და თვალნათელი იყოს შეფასების სისტემის კავშირი საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ზუსტად ზომავს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **რჩევები:** • სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.

	• კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებს კათედრა შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნის უფრო მეტ, კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ, შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და

	გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“. იგი უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო მიღებული შედეგები - ზუსტი. ვერიფიკაციის ძირითადი ამოცანებია: მოსწავლეთა შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა კურიკულუმთან, კლასის/მოსწავლის მიღწევების ანალიზი და ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა წარმატების გასაუმჯობესებლად.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის „საქმისწარმოების ზოგადი დებულების“ თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მტკიცებულების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საქმისწარმოების ზოგადი დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- რემედიაცია (გეგმა, ანგარიში)
- კათედრების სხდომების ოქმები
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ტესტები და ანალიზი
- ჩატარებული გაკვეთილის გეგემები და დასწრების უკუკავშირები
- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები და ანალიზი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- საკლასო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები
- პროექტები ,,ალცჰაიმერი და გენური თერაპია", ,,ნაადრევი ქორწინება"
- კვლევა ,,ნერწყვის უჯრედებიდანდნმ-ის გამოყოფადა ყველა ცოცხალ ორგანიზმშიმისი არსებობის აღმოჩენა"
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. მაგალითად: სასწავლო წიგნები, მასწავლებლების მიერ მომზადებული მასალა, ასევე დამხმარე რესურსები - ინტერნეტ რესურსები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რესურსებს იყენებენ გეგმიურად და კურიკულუმი განსაზღვრავს, რომელ ეტაპზე და როგორ გამოიყენონ თითოეული რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში მითითებულია ის რესურსები (როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური), რომელთა დამუშავების შემთხვევაში, მოსწავლეები მიიღებენ სათანადო ცოდნას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დავალებების ნიმუშების ნახვის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის რესურსს შედეგებზე გასასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში საგნის მასწავლებლის მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რომლებიც თანხვედრაშია სტანდარტით გათვალისწინებულ თემებთან, ცნებებთან და შემოქმედებით დავალებებთან. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად დამხმარე რესურსებად, ძირითადად, წარმოდგენილია ონლაინ რესურები. ეს ყველაფერი ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს ეროვნული სასწვალო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმეტაციიდან ჩანს, რომ კათედრა სამივე საფეხურზე გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ.: ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება. სასწავლო და ელ. რესურსები, უმეტესწილად, ჩაშენებულია საგნობრივ კურიკულუმებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო რესურსები აქვთ მატერიალური სახითაც. მაგ.: მუსიკალური ინსტრუმენტები, პლაკატები, მაკეტები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ, **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში, გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა. დანართის სახით გადმოგზავნილია, რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური ბუნების დავალების ნიმუში, რომლებშიც ჩანს დასახელებული

	რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე. **რჩევა:** • სასურველია, კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, **სამივე საფეხურზე,** ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმა. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის პროცესი ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს: ინტერაქციულ სიმულაციებს (ვირტუალური ლაბორატორია), თვალსაჩინოებებს (მზის სისტემის მაკეტი) და დამხმარე ლიტერატურას. **დაწყებით საფეხურზე** რესურსები ვალიდურია, რადგან ისინი პირდაპირ კავშირშია შემოქმედებით დავალებებთან და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ქიმიაში ჩატარებული სადიაგნოსტიკო წერები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ახდენს შერჩეული მასალის ვალიდაციას მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად. ვალიდაციის პროცესში იკვეთება გარკვეული უზუსტობები, რაც გავლენას ახდენს რესურსების ეფექტურობაზე: ფიზიკის კურიკულუმში თემების არასწორი განაწილების (მაგ., მოლეკულური ფიზიკა **XI კლასის ნაცვლად XII-ში**) გამო, შერჩეული რესურსები ვერ ჩაითვლება სრულად ვალიდურად კონკრეტული კლასის სტანდარტთან მიმართებით. საბუნებისმეტყველო საგნებში ვირტუალური ლაბორატორიის, როგორც ძირითადი რესურსის, ვალიდაცია არ არის საკმარისად დასაბუთებული პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით, რაც საჭიროებს მეტი ფიზიკური რესურსებით დაბალანსებას. **რჩევა:** • სასურველია, რომ ფიზიკისა და ქიმიის რესურსები გადანაწილდეს თავიდან, კურიკულუმის გასწორებული თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებობს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების გარკვეული პრაქტიკა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ფარგლებში მასწავლებლები აჯერებენ იმ მასალას, რომლებიც გამოიყენება შემოქმედებითი ბუნების დავალებების

	შესრულებისას. წარმოდგენილი მატრიცები და კურიკულუმები ადასტურებს, რომ შერჩეული რესურსები ვალიდურია და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლა-სწავლების ეფექტურობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ირჩევენ დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. დოკუმენტაციაში (კათედრის სხდომის ოქმი N1) ნათლადაა ჩანაწერი, თუ როგორაა ეს რესურსი შეჩეული ან განხილულია კათედრასა და პედაგოგიურ საბჭოზე. პედაგოგების თქმით, შერჩეული რესურსი მასალის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. დავალებები აგებულია აღნიშნული რესურსების გამოყენებით. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. კათედრის სხდომის ოქმში გაწერილია, რა მოთხოვნები უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა საგანმანათლებლო რესურსის შექმნისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა. მასწავლებლები იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	**სამივე საფეხურზე,** სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. ძირითადი და დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის სამუშაო შეხვედრაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების კათედრის წევრები არჩევენ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური ბაზით, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის მზაობა პრაქტიკული სწავლების უსაფრთხო და ეფექტურ გარემოში წარმართვისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლაბორატორიაში ქცევის წესები და დებულება, რაც განსაზღვრავს ექსპერიმენტების ჩატარების პროცედურებს, უსაფრთხოების ნორმებსა და რესურსების გამოყენების წესს. ფიზიკური გარემო აღჭურვილია მინიმალური სავალდებულო ხელსაწყოებითა და რეაქტივებით. სკოლა პრაქტიკაში იყენებს მიკროქიმიურ მეთოდს, რაც თანამედროვე და უსაფრთხო მიდგომაა. უსაფრთხო რეაქტივებისა და მცირე დოზების გამოყენებით სკოლა ეფექტურად ანაცვლებს გამწოვი კარადის საჭიროებას, რაც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და ესგ-ის მოთხოვნებს. მატერიალური ბაზა (ავეჯი, განათება, სივრცე) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეები დააკვირდნენ საცდელ პროცესებს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს მატერიალური რესურსი და უსაფრთხოების მექანიზმები, კურიკულუმებში ნაკლებად არის ასახული პრაქტიკული/კვლევითი სამუშაოების წილი. ერთადერთ შეუსაბამობას წარმოადგენს ის, რომ კურიკულუმის დოკუმენტში მკაფიოდ არ არის მითითებული მიკროქიმიური მეთოდის გამოყენების შესახებ, როგორც გამწოვი კარადის ალტერნატივა. აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზია, რადგან რეალური რესურსი და მეთოდოლოგიური ცოდნა სკოლაში არსებობს. **რჩევა:** • კურიკულუმის რესურსების სვეტში გაკეთდეს მცირე მინაწერი მიკროქიმიური მეთოდის გამოყენების შესახებ, რათა დოკუმენტაცია სრულად ასახავდეს სკოლაში არსებულ პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა სკოლაში განსაზღვრულია საჭირო მატერიალური რესურსებით (ტექნიკა, ინვენტარი და ა.შ.), რაც შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. საჭირო რესურსები ნაწილდება მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად სკოლაში ყველა მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნაბში/მუსიკაში/პროექტულ სწავლებაში, სამივე საფეხურზე, სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. ასევე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრაზე შექმნილ ან შეძენილ რესურსებს სხვადასხვა მასწავლებელი იყენებს. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა როგორც რესურსების, ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის შექმნილია საგაკვეთილო პროცესში თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობა.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

“ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის” მიხედვით, სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, ობიექტური და არადისკრიმინაციული პროცედურების საფუძველზე. მასწავლებელთა დანიშვნა ხდება კონკურსის წესით (შიდა ან ღია), სადაც კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს, ფლობდნენ შესაბამის აკადემიურ ხარისხსა და საგნობრივ კომპეტენციას.

სკოლაში თითოეული პოზიციისთვის არსებობს დეტალური სამუშაო აღწერილობა. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან, მათი საქმიანობის სისტემურ შეფასებას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო პედაგოგების შერჩევის მიზნით გამოცხადებულია ღია კონკურსები, ამასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო პედაგოგების შერჩევა/დასაქმება.

იდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 ს.წ.)
- 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- კათედრების სხდომების ოქმები
- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- სკოლის მართვის ელექტორნული სისტემა
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- პროექტები და კვლევები ბიოლოგიასა და ქიმიაში
- მოსწავლეების ნამუშევრები

- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ანალიზი
- ჩატარებული გაკვეთილი გეგმები და დასწრების უკუკავშირები
- შემაჯამებელი ტესტები და მათი ანალიზი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მიზანსა და განხორციელების წესს. იგი წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად (შემუშავება → დანერგვა → მონიტორინგი და შეფასება → რევიზია), რაც მიუთითებს პროცესის წინასწარ დაგეგმილ და სისტემურ ხასიათზე.
მონიტორინგი ეფუძნება შეთანხმებული ინსტრუმენტებით მონაცემების შეგროვებას, რომლებიც ასახავს სასწავლო პროცესსა და მოსწავლეთა მიღწევებს. მონაცემები გროვდება სხვადასხვა დონეზე (მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის), რაც უზრუნველყოფს ობიექტური ანალიზის შესაძლებლობას. კათედრის თავმჯდომარე განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების ფორმებსა და სიხშირეს, ხოლო მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა შედეგების შესახებ.
შეფასება ორიენტირებულია შედეგებზე და განსაზღვრავს, რამდენად ეფექტიანად მიიღწევა დასახული მიზნები. მონაცემთა ანალიზი მიმდინარეობს კათედრის სხდომებზე, სადაც იდენტიფიცირდება ძირითადი საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს დოკუმენტში აღწერილი ინფორმაცია.
ამგვარად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ეფუძნება სისტემურ და წინასწარ განსაზღვრულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიან განხორციელებასა და განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემების გადაჭრის გზებს, რადგან მოიცავს როგორც მონაცემთა შეგროვებას, ისე მათ ანალიზსა და შესაბამის რეაგირებას.
კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე, შეთანხმებული ინსტრუმენტების საშუალებით, სისტემატურად გროვდება ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. მონაცემები განიხილება კათედრების ფარგლებში, სადაც იკვეთება ძლიერი და პრობლემური საკითხები. ამის შემდეგ იქმნება შესაბამისი რეკომენდაციები.
მასწავლებლები აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას და მიღებული რეკომენდაციების მიხედვით აუმჯობესებენ საქმიანობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, რადგან იგი მიმართულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და პროფესიულ განვითარებაზე.

მონიტორინგის ფარგლებში სისტემატურად გროვდება ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, რომელიც კათედრებზე ერთობლივად განიხილება და ხელს უწყობს თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. ანალიზის შედეგად იკვეთება სირთულეები და წარმატებული პრაქტიკები, რის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებს პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

შეფასება ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე და აჩვენებს, რა მიმართულებით არის საჭირო ცვლილებები, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა წარმატებას, ისე სკოლის განვითარებას.

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, შეფასება უზრუნველყოფს თანამშრომელთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას და მის საფუძველზე იგეგმება მათი პროფესიული განვითარება. პროცესი ეფუძნება პატივისცემას, ჩართულობასა და თანამშრომლობას და განიხილება როგორც განვითარებისკენ მიმართული კონსტრუქციული უკუკავშირი.

ამრიგად, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერისა და განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი "შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" მიხედვით, მოსწავლე სხვადასხვა ტიპის წყაროსა და ინსტრუმენტზე დაყრდნობით ფასდება. კერძოდ: შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის: ესეები, პროექტები, პრეზენტაციები, ლაბორატორიული კვლევები, რეფერატები და სხვა. თითოეული ინსტრუმენტი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლემ აჩვენოს მიღწეული სწავლის შედეგები ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების დროს გათვალისწინებულია ფაქტობრივი გარემოებები, დრო, მოსწავლის წინასწარი ინფორმირება და სხვა, რაც ზრდის ობიექტურობას. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, აგრეთვე სემესტრული და წლიური გამოცდები და მიღწევების დიაგნოსტირება.
„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს, მასწავლებელთა რეფლექსიას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებასა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტურ მიდგომას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

"შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" მიხედვით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მათ შორის: მოსწავლის შეფასების დრო, მოსწავლის წინასწარი ინფორმირება, ფაქტობრივი გარემოებები, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები. შეფასება მოიცავს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი), რაც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი შესაძლებლობი სხვადასხვა ფორმით გამოავლინოს.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, რომ სისტემატურად დააკვირდნენ მოსწავლეებს, შეისწავლონ და გაითვალისწინონ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები.

რჩევა:

- სასურველი, მასწავლებლებმა შექმნან და გამოიყენონ მრავალფეროვან კონტექსტზე დამყარებული შეფასების რუბრიკები, რაც შესაძლებლობას მისცემთ, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს სხვადასხვა საჭირო და სანდო ინფორმაცია გაითვალისწინონ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის დოკუმენტაციის რევიზია, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა.

"შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" მიხედვით, მონაცემები იკრიბება სხვადასხვა ტიპის დავალებებისა და პროდუქტების (ესეები, პროექტები, პრეზენტაციები, ლაბორატორიული კვლევები, რეფერატები) მეშვეობით, რაც მოსწავლის სხვადასხვა მხრივ შეფასების შესაძლებლობას ქმნის. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, სემესტრული და წლიური გამოცდები, აგრეთვე მიღწევების დიაგნოსტირება. პროცესში გათვალისწინებულია შეფასების პირობები და გამოყენებული რესურსები, ხოლო მონაცემები დამოწმებულია შესაბამისი მტკიცებულებებით. სხვადასხვა კათედრის მასწავლებელთა ჩართულობა უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის სანდოობასა და მრავალმხრივობას.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც მოიცავს კურიკულუმის შესაბამისობას სტანდარტებთან, სწავლა-სწავლების პრაქტიკულ ეფექტიანობას, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასკოლო გარემოს გავლენას აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ

მოსწავლეთა შეფასებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. მაგალითად: გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი დონე, შესაძლებლობები, კლასის საერთო მომზადება, ინტერესები, რაც გვაფიქრებინებს, რომ შეფასება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ხორციელდება.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ მიხედვით, მოსწავლის შეფასება ეფუძნება მრავალ ფაქტორს, რაც უზრუნველყოფს მის ვალიდურობას, სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასებისას გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (ესე, პროექტი, პრეზენტაცია და სხვა), გათვალისწინებულია შეფასების გარემო პირობები, მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევები კი აისახება როგორც განმავითარებელ, ისე განსაზღვრელ შეფასებაში. შეფასების შედეგები გადამოწმდება შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე. შედეგად, შეფასება ხორციელდება კომპლექსურად და უზრუნველყოფს მოსწავლის სამართლიან, ობიექტურ და სრულფასოვან შეფასებას.

“ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით”, შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც პროცესებისა და კურიკულუმების შესაბამისობას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან, ისე მათი პრაქტიკული განხორციელების ხარისხს. ამასთან, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი - დოკუმენტაციის ანალიზი, ჩართული პირების ინტერვიუირება და სასწავლო პროცესზე დაკვირვება, რაც შეფასების მრავალმხრივობას განაპირობებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესი არ არის დასრულებული. სკოლას დაგეგმილი აქვს კურიკულუმის სარეკომედაციო პაკეტის შემუშავება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგი წლის კურიკულუმში შესატანი ცვლილებების შინაარსებს, ცვლილების ინიცირებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, ცვლილების განხილვასა და ასახვაზე/დამტკიცებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, ცვლილებების ინიცირების პერიოდს/ვადებს. შესაბამისი პროცედურები გაწერილია შემდეგ დოკუმენტებში: „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „კურიკულუმის გავნითარების მეთოდოლოგია“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესი არ არის დასრულებული. სკოლა გეგმავს წლიური მუშაობის შედეგად შექმნას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. გადამუშავებული კურიკულუმი დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისი პროცედურები გაწერილია შემდეგ დოკუმენტებში: „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „კურიკულუმის გავნითარების მეთოდოლოგია“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 20.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაკა კაჭკაჭიშვილი	
ლია ბორგვერაძე	
ზაზა მანია	
სოფიო მურუსიძე	
ნატო შაინიძე	

ია სეხნიაშვილი

თეონა აბრამიშვილი

საბა დარსაველიძე

მაია სიხარულიძე

მაკა ნატროშვილი